

ყოველ დღე ორჯერ ბარდა

# დროება

საქმე ნომერი ღირს შაურათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ღირს ასო-  
ებით ასაზე—1 კაპ.; ასო-მთავრულით  
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის  
ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაას-  
წიროს და შეამოკლოს დასაბეჭდად  
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელო  
სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-  
გიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლ-  
ში, № 8.  
კანტორა რედაქციისა: სერ-  
გიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სა-  
ხლში, № 8.  
ხელის-მოწერა მიიღება კანტო-  
რაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИ-  
ПОГР. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗ. „ДРОЕБА“.  
გაზეთის ფასი: მთელის წლი-  
სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან.  
ხა 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყველიერის დღესასწაულობის გა-  
გონი, შემადგენი—მე-42-ნომერი გაზე-  
თის „დროებას“ გამოვა მომავალ  
კვირის საგზაბათს; ხვალ. შაბათსა  
და კვირას გაზეთი არ გამოვა.

## ყოველ-დღიური გაზეთი

### „დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქ-  
ციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე,  
ივ. ამირაგოვის სახლში, № 8).  
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრე-  
სი. ВЪ ТИПОГР. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ  
„ДРОЕБА“.  
გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8  
მან., 1/2 წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი  
თვის—3 მან.

## ტელეგრაფები

### ბრძოლის ვალიდა

დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ტელეგრაფმა  
სან-სტეფანო, 19 თებერვალს (ოფი-  
ციალური), ხელმწიფე იმპერატორის ტახტ-  
ზე ასვლის დღესასწაულის გამო, დანი-  
შნული იყო აქ მყოფ ჯარების პარადი  
(დახედვა) 2 საათზე; მაგრამ, რადგან შე-  
რიგების პირობებიც ამ დღესვე უნდა  
ყოფილიყო ხელ-მოწერილი, ამის გამო  
პარადი სადამომდინ გადავდევინა.

ხუთ საათზე გრაფ იგნატიევმა გამო-  
მცხადა, რომ შერიგებას ხელი მოვა-  
წერეთო. იმწამსვე მიველ ჯართან, მი-  
ულოცე იმათ ეს საამო ამბავი და ხელ-  
მწიფის სახელობით მადლობა გამოუტ-  
ხადე ერთგული სამსახურისთვის. შემდეგ  
სამადლობელი პარაკლისი გადავიხადეთ.  
მორიგების შეტყობამ დიდი და სასიამო-  
ვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჯარზედ.  
შემდეგ გამართული იყო სადილი, რომ-  
ელზედაც ვსვით სადღეგრძელო ხელ-  
მწიფე იმპერატორისა და ჩვენი კეთილი  
სამშობლოსა.

„Daily News“-ს აცნობებენ სან-სტეფ-  
ანოლამ: იგნატიევისაგან შევიტყეთ, რომ  
შერიგების პირობებში, სხვათა შორის,  
შემდეგი მუხლებია:

ღობრუჯუს რუსეთი გაცელის ბესარა-  
ბიაზე, თუ რუმინია დათანხმდება.

მომავალი მთავარი ბოლგარიისა არ  
უნდა იქნეს შეროპის არც ერთი ხელ-  
წიფის შთამომავალი.

თუ რამდენი ქარჯი უნდა აძლიოს  
ბოლგარიამ წელიწადში ოსმალეთს, ეს  
ორი წლის შემდეგ იქნება გადაწყვეტი-  
ლი.

რუსის ჯარები არ შევლენ სტამბოლ-  
ში, იმათ ჩასვენ ხომალდებში მარმარი-  
ლოს ზღვაზედ და ბოსფორით გამოის-  
ტუმრებენ სამშობლოსაკენ.

ბოლგარიის ყველა ციხეები უნდა  
დაიქცეს. ოსმალთს ჯარები ბოგორიაში  
აღარ დარჩებიან.

## საქართველო

ამ ნომრისათვის დანიშნული მოწი-  
ნავე სტატია—**მ რ თ ი ს ა ზ ო გ ა დ ო  
მ ო ვ ლ ე ნ ა**— რედაქციისაგან დამო-  
უკიდებელის მიზეზისა გამო, არ იბეჭ-  
დება.

### ღლიური

\* ჩვენ შევიტყეთ, რომ გასულ კვი-  
რაში ერთი ვილაც სომეხი პაპოვი დაუ-  
ჭირავთ ჩვენს ქალაქში ყალბი ასიგნა-  
ციების გავრცელებისათვის.

ამ საქმის გარემოებას ასე ლაპარაკო-  
ბენ:

პაპოვს ერთის თავის ნაცნობისთვის  
შეუძღვრია ყალბი ფულები, 500 მანე-  
თად 2,500 მანეთის ყალბს ფულს მოგ-  
ცემო. მსვე დათანხმებულა; მაგრამ სა-  
ნამ დანიშნულ დროს გამოამყიდველთან  
წასულა, პოლიციისთვის უცნობებია ასე-  
და-ასეა საქმეო. დანიშნულს საათზე მყიდ-  
ველთ მისულა პაპოვთან, რომელსაც  
ამოუღდა და სტოლზე დაუწყებია 2,500  
მანეთის ყალბი ასიგნაცია; როცა თავის  
მხრით მყიდველსაც ამოუღია 500 მან.  
და სტოლზე დაუწყებია ამდროს იქ-

ვე დამალული პოლიციის ჩინოვნიკებ-  
შემოცვიფრულან... პაპოვს დაუელია ხე-  
ლი და სანამ პოლიცია კარებში შემოგ-  
სულა, ფულები ცეცხლში შეუყურია; მაგ-  
რამ, იმის-და-საუბედუროთ, ყალბი ფუ-  
ლის მაგიერად, ნამდვილი ქალაქის ფუ-  
ლი შეუყურია... პოლიციას, რასაკვირვე-  
ლია, იმწამსვე დაუელია ხელი ყალბი  
ასიგნაციებისთვის, დაუტუსაღებიათ აგ-  
რეთვე პაპოვი და იმის ცოლი და წა-  
მოუყვანიათ.

\* თფილისის მოაბეში იწერებიან, რომ  
ყალბი ფულების გავრცელების თაობაზე  
ამჟამად 30 კაცი არის თფილისში და-  
ტუსაღებულიო.

\* ჩვენ შევიტყეთ, რომ ანდრეევს-  
კის ქალის მკვლელობის პროცესისათ-  
ვის სამასი ბილეთი იყო მაყურებლები-  
სათვის დანიშნულიო და ამჟამად ყვე-  
ლა ეს ბილეთები დატაცებულიო.

\* ჩვენ მივიღეთ თელავიდან შემ-  
დეგი ახირებული ამბავი:

ამ ერთის თვის წინათ სოფელსა—ში  
ერთს ღარიბ გლეხს როგორღაც შეეძი-  
ნა ერთი თუმანი ფული და განებრანა  
მისი შენახვა; მაგრამ რადგანაც იმ დროს  
მისი ცოლი შინ არ ყოფილა და სახლის  
კარები დაკეტილი ყოფილა, ამის გამო  
გლეხს „ზიზია წითელი ბილეთი“ ჩაუღ-  
ვია ჯიბეში და ეზოში წამოწოლილა  
ცოლის მოსვლამდინ.

როგორც ყოველი ფულის პატრო-  
ნი, ეს უბედურიც მისცემია ფიქრს—თუ  
როგორ შეინახოს, ან როგორ მოიხმა-  
როს ის ერთი თუმანი. ამ ფიქრებში  
კიდევ დაძინებია. სამი ცხვარი ამავე  
გლეხისა მისულან და იმასთანვე ახლოს  
დაწოლილან.

რადგანამე ხანს უკან გაველია გლეხ-  
სა და მოაგონდა რა თუმანიანი მაშინა-  
თვე ხელი ძიატანა თავის ჯიბეს, მაგრამ  
აღარ დახვდა ჯიბეში... შექმნა საცოდავ-  
მა ყვირილი, მაგრამ ვინ რას უშველიდა.  
ბოლოს თვალთ მოჰკრა ერთს თავის  
სახლის მახლობლად მიმავალს ნაცნობს  
გლეხს და გამოუღდა იმ აზრით, რომ ეს  
გლეხი უნდა იმისი ფულის მომპარავი  
ყოფილიყო, რადგანაც სხვა კაცი იმის  
სახლში და არც მახლობლად არავს  
იყო. ბაბწრა ეს გლეხი და წარუდგინა  
სოფლის მოსამართლეებს...

დამკარგავი ვერ უმტკიცებს მოპარ-  
ვას და ბრალდებული ყოველგვარი ფი-  
ციით ცდილობს იმართლოს თავი.

არ იციან, რა ქმნან სსუღებმა: ვერც





შვარლის შკოლის მასწავლებელი თურმე გულ-აცრუებით ეპყრობა თავის „მიმიე“ თანამდებობას; ყმაწვილები თურმე ყოველთვის გულ-მოდგინეთ ღია-რებიან შკოლაში და თვითონ მასწავლებელი კი თურმე ძალიან ზარმაცობსო, ავღრიან დღეში, კი არა, თურმე ზოგჯერ კი ამინდიან დღეშიაც ეს დადის შკოლაში“ და თავდება ამით: „თუმცა ყმაწვილები უცდიან თურმე შუადღემდინ თავის აღმარზღელსო (?), მაგრამ შვარლის შკოლის მასწავლებელი თავის დროზე არ დაიარება“ და სხვ.

წარმოიდგინეთ, უფ. რედაქტორო, და თქვენც მკითხველო! ეს ამბავი იმან თავის ყურებით გლენისაგან გაიგონა და თვით ჩემგანაც, თურმე—შვარლის შკოლის მასწავლებლისაგანაც?! მე კი ასე მგონია, რომ ან მე მართლა სულ ყმაწვილი უნდა ვიყო, რომელსაც არაფერი მესმოდა, ან უფ შართველზე მეტად ცუდი გავიგონა უნდა ჰქონოდა იმ საშინელს ზამთარს, როდესაც მთელი ერთი კვირა დღე და ღამე უთოვლია და ნახევარი ადგილი მოუთოვლია! მარჯი, გლენმა ეს თქვათ ზო! მეროგორ-ღა უთხარო; თქვენი ჰარომე, რომ დედაჩემი კუდიანია-თქო?!

შვარლის შკოლის მასწავლებელი 14 თებერვალს.

# ოპის აზრები

## შარბაგის თაობაზე

„მელნის ბაზეთში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„შექველია, რუსეთი იმიტომ ეჩქარება მსმალეთთან შერიგების გათავებას, რომ ჰსურს მომავალს კონგრესზედ მზამზარეულის პროექტით წარდგეს და ამნაირად კონგრესმა ვერაფერი გარჩიოს იმის პირობების წინააღმდეგ. რუსეთის მეცადინეობა ამ ჟამად ის არის, რომ რაც შეიძლება მომეტებულად და საჩქაროთ ისარგებლოს თავის გამარჯვებით და ამნაირად ინგლისსა და პესტრო-შენგრის არ მისცეს დრო, რომ აღმო-სავლეთის საქმეების შესახებ ერთმანეთში დათანხმდნენ და ერთათ იმოქმედონ რუსეთის წინააღმდეგ.“

მთუ მართლა ეს იყო რუსეთის დიპლომატიის ჰაზრი, მაშ რუსეთს თავის განზრახვა აუსრულებია, რადგან იმან უკვე მოასწრო მტერთან შერიგება. მაგრამ საქმე იმაშია, მსმალეთთან შერიგება მეროპის კონგრესს ხელ-ფენს შეუკრავს და განუსჯელად მიადებინებს რუსეთის პირობებს, თუ არა? ამას გარდა, განა ეს დაუშლის პესტრო-შენგრის და ინგლისის ერთმანეთთან დაკავშირებას და რუსეთის წინააღმდეგ ერთად მოქმედებას?

მენის გაზეთს „Presse“-ში სტამბოლი-დამ იწერებია:

„მთუ რუსეთსა და მსმალეთს შუა შორიგება მოხდა, რუსის ჯარები, რომ

მელნიც ამ ჟამად სტამბოლის ახლო-მხლო ალაგებში და აგრეთვე აღრიან-ნობოლოში არიან დაყენებულნი, არ შევლენ სტამბოლში. იმათ სტამბოლთან ჩასმენ ხომალდებში და მდენისაკენ გაგზავნიან. მორიგების შემდეგ მხოლოდ ლ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ეწვევა რამდენი დღით ხანტქარს სტამბოლში.“

რუსის ოფიციალურ გაზეთს „Agence Russe“-ში დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა:

„რეიტერის სააგენტოსაგან“ გამოცხადებული პირობები მორიგებისა ნამდვილი არ არის.

რუსეთს თავის დღეში არ მოუთხოვია, რომ ბოლგარიაში არც ერთი მაჰმადიანი არ უნდა დარჩესო; ის თხოვლობდა მხოლოდ, რომ იქ აღარ იმყოფებოდნენ მსმალთს ჩინოვნიკები და აგრეთვე ჩერქეზები გადასახლონ ბოლგარიაში.

„აგრეთვე ღარდანელის წყლის შესახებ რუსეთმა თავიდავე გამოაცხადა, რომ ეს საგანი მეროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან კონგრესმა უნდა განიხილოსო.“

„მ. ბორჩაკოვი შეუძლოთ იყო, ახლა უკეთ არის.“

„ბაზეთის „მზზორის“ გუშინდელს ნომერში ჩვენ წავიკითხეთ სამზღვრები იმ მიწერისა, რომელიც ჩვენ უნდა და გვითმოს მსმალეთმა მცირე აზრით. ბაზეთში მოყვანილია—თუ რა და რა ადგილები, რა სამზღვრებში, საიღამ საღამდინ დაგვრჩება ჩვენ. დაგვრჩება ბათუმი, შარსი, არტანდი, ბაიანეთი, აჭარა და სხვ.“

ნეტა ვიცოდეთ, ვისგან გაიგონა ანუ საიღამ შეიტყო „მზზორმა“ ესე დაწერილებით ყველაფერი, როცა ჯერ მორიგებას პირობები ჩვენში კაცმა არ იცის, როცა ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ რუსეთი და მსმალთ მორიგდნენ, მაგრამ როგორ, რა პირობებით—ეს კი არა?

## ოპისთვის მზადება

შარსკუხულის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, 14 თებერვალს შენიღამ:

„თან-და-თან უარესად მიდის საქმე. აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ, თუ არა ხმლით, ისე ვერ გადაწყდება პესტრო-შენგრისა და რუსეთს შუა შეტაკებაო. ამაში იმატომ უფრო არიან დარწმუნებულნი, რომ რუსეთის ხალხი და გაზეთები ძალიან მაგრად დგანან ერთხელვე გამოცხადებულს პირობებზე და მთერობას ურჩევენ, რომ ამ პირობებიღამ ერთი მუხლიც არაფის დაუთმოთო.“

ზოგიერთ აქაურს გაზეთებში იწერებია, რომ ტრანსილვანიის სამზღვარზე რუსებმა ჯარები დააყენესო. მოგვხსენებათ, რომ პესტროის ჯარებიც ტრანსილვანიაში იმყოფებიან ამ ჟამად. ამ გარემოებამ კიდევ უფრო ააღვიძა აქაური ხალხი.“

„Indép. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი მითხრობა: „ამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც გვაცობებს შემდეგ ამბავს სახერძინეთის საომრად მზადებაზედ;“

საბერძნეთის არმიის რიცხვი 50,000 კაცამდინ უნდა ავიდეს. მმართველობამ იყიდა ინგლისში ექვსი მილიონი მანეთის თოფ-იარაღი და სხვა საომარი იარაღი და ტყვია-წამალი; შეუკეთა აგრეთვე ომისთვის საჭირო ნივთები, თუ ჯარის ტანისამოსი პესტროისა და საფრანგეთის ფაბრიკანტებს. ამას გარდა ძრუპუნის ქარხანისაგან მოელის ამ დღებში 70 ზარბაზანს.

ლონდონის გაზეთს „Daily News“-ში შემდეგ ამბავს იწერებია: შარსიღამ 10 თებერვალს:

„ისეთი ვაზშირებული ავთმყოფობა აღარ არის ახლა აქეთვენ, როგორც ადრე იყო. მართი დივიზია რუსის ჯარისა მალე უკან დაბრუნდება, თფილნისისაკენ. ამ დღებში არზრუმში გაგზავნეს აქედამ რამდენიმე ექიმი და აგრეთვე სხვა-და-სხვა სანიტარული კუთვნილება.“

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი

მთუ საღამდინ მიადწვეს ინგლისის ხალხის დელოვა და გაბრაზება ამ აღმოსავლეთის საქმეების შესახებ, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი:

12 თებერვალს ლონდონის ერთს დიდ ბაღში (ჰაიდ-პარკში) ორი მიტტინგი (კრება) ყოფილა ხალხისა. მართი ამათვანი მმართველობის მომხრე პირებისაგან ყოფილა შემდგარი და მეორე ისეთი პირებისაგან, რომელნიც მმართველობას ეწინააღმდეგებიან და ამბობენ, რომ რუსეთთან ომი ინგლისმა არ უნდა გამოაცხადოსო.

პირველს მიტტინგს დიდის ალტაცებით მიუღია თავის ორატორების წინადადება რომ მმართველობას თანაჯრძნობა გამოუცხადოთ თავის ახლანდელ პოლიტიკისათვის, თუ საჭიროდ დაინახავს შეუძლიან რუსეთს ოში გამოუცხადოსო და სხვ.

ზათავდა თუ არა ამათი სხდომა, მთელი ხალხი მეორე პარტიის მიტტინგს მიაწყდა; აქ რაღაცას თაობაზე ამ ორ პარტიის ხალხს შუა ჯერ ყვირილი და ბაასი ატყდა და მერე მუშტი-კრივით (ბოქსით) და ჯოხებით ჩხუბი ასე, რომ ბოლოს პოლიტია ჩაერია თურმე ამათში და გააშველა.

ასი ათას კაცამდინ იყო, ამბობენ ლონდონის გაზეთები, ამ ორ მიტტინგზე მებრძოლნიო.

## რუმინია

მინისტრმა ბრატიანომ გამოაცხადა რუმინის პალატაში, რომ, თუ რუსეთმა დანსაკუთრა ბესარაბია, მთელი რუმინის ხალხი ეწინააღმდეგება ამასო და



სამინისტრო მაშინვე იძულებული იქნება სამსახურს თავი დაანებოსო. მაგრამ კონგრესი იმედია მხედველობაში მიიღებს თვითონ ხალხის—ბესარაბიის მცხოვრებლების—სურვილს და ისე გადწყვეტს ამ საქმესაო.

ღვეანდელი ტელეგრაფიდან შეიტყობთ, რომ ოსმალეთთან მორიგების პირობებში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ „რუსეთი ბესარაბიის მაგივრად, ლაბრუჯუს მისცემს რუმინიას, თუ ის (ე. ი. რუმინია) დათანხმდებოა.“ მაშა სადამე, რუმინიას შეუძლია ახლა დაიმშვიდოს გული.

**თფილისის სამაჟორნალო**

(4-ს აპრილის სახსოვრად)

პრეზენს მადანზე, წინამძღვარების სახლებში ავთომყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღის 10 საათამდე.

მ რ შ ა ბ ა თ ს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავთომყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთომყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს; მერმიშვილი და მაკაროვი—შინაგანი ავთომყოფობისათვის, თამაშვილი—თვალის ექიმი.

მ თ შ ა ბ ა თ ს; ლისიცივი—შინაგანი ავთომყოფ., მიუჩარინცი—გვერდიული ავთომყოფობისათვის,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს; მერმიშვილი—შინაგანი ავთომყოფობისათვის.

ვ ა რ ა ს კ ე ვ ს; ლისიცივი და ასატუროვი—შინაგანი ავთომყოფობისათვის და ხირურგიულიათვის.

შ ა ბ ა თ ს; მერმიშვილი და მაკაროვი—შინაგანი ავთომყოფობისათვის, მიუჩარინცი—ყურის და ხირურგიულ ავთომყოფობისათვის და თამაშვილი—თვალის ავთომყოფობის.

**ახალი ტაქსა გირჰის ივოსნიკიანისა**

შალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გა-

მო ამ პირველ ქრისტეშობისთვის დადანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა.

პრტი გზა . . . . .	40 კაბ.	25 კაბ.
საათი . . . . .	80 ”	55 ”
შალაქიდან—ნავთლულს	80 ”	50 ”
— მუშტიადამინ	60 ”	45 ”
— მუშტი. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 ”	90 ”
რკ. გზიდან ნავთ.—2 ”	—	135.50 ”
— ლაშქრადამინ — 1 ”	50 ”	1 ”
— შალაქ. ყველგან 1 ”	—	70 ”
რკ. გზამდინ ქალაქ.— ”	80 ”	50 ”
— ნავთლულიდან 1 ”	50 ”	1 ”
რკინის გზამდინ და უკან — — — 1 ”	30 ”	90 ”

შ ე ნ ი შ ნ ე ა ბ). ორ ფუტამდინ ბოგაქისათვის იზვოსნიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ე ა ბ). ნაშუალამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ჭაიტონის—ერთი გზა—60 კაბ., საათის 1 მან. და 20 კაბ., დროჯის—40 კაბ. და საათის—80 კაბ.

**განსხვავება**

**კავკასიაში მრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაზე**

რადგან ხშირად მოგედის სხვა და სხვა პირებისაგან თხოვნა; რომ გესურს შარანიანის მამულის იეყიდოთო, ამის გამო საჭიროდ ერაცხთ საქვეყნოთ გამოცხადოთ რომ 16,000 დენიკინიდან ამ მამულის I განყოფილებაში კიდე დარჩენილია გაუყიდავი ქვე-მოხსენებული უჩასტკები, რომელნიც მომეტებული ნაწილი სარწყავი მამულებია.

გაყიდვის პირობა და შუასი უჩასტკებისა ისევე ძველი რჩება. ვისაც ამ მამულების შეძენა ჰსურს და დაწერილებითი პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზო-

გადოების კანცლორატში, გენოვის ქუჩაზე, სახლი №7, ანუ შარანიანის გამგებელთან ივანე სტეფანეს ძეს ნატისრეჩაზე, №15.

**განსახილი უჩასტკები:**

არხი	უჩასტკა	დენიკინა
3 — — —	№ 5 — — —	44
4 — — —	№ 6, 7, 8 და 9 — — —	457
5 — — —	10, 11, 12, 13, 14 და 15 — — —	547
6 — — —	— — — 18 და 20 — — —	100
7 — — —	— — — 27 — — —	51
9 — — —	— — — 41 — — —	131
10 — — —	— — — 47 — — —	50
11 — — —	— — — 53 და 58 — — —	170
14 — — —	— — — 8186 — — —	584
15 — — —	— — — 87—დამ 95—მდინ	950
16 — — —	— — — 101, 102 და 103 — — —	450
16 — — —	— — — 110—დამ 115—მდი	750
შანდარის არხზედ 104—დამ 107—500		
სულ — — —		4,784 დენიკინა.

**„დროების“ ფორმა**

— ა — ს, მ. გ — ძეს. უკაცრავად ნუ ექნებით, და ძალიან სულელი ყოფილა, ვინც მაგას ამბობს: „დროების“ რედაქციას თავის დღეში მიდგომით არ უმოქმედნია და არც შემდეგში იკადრებს ამას.

— იქვე, ძ — ს — ოვს. შესაძლებელია რასაც თქვენ ამბობთ; მაგრამ ეს ფორტას უნდა მოჰქონოთ; ჩვენის მხრით, არავითარ დაბრკოლება არ არის.

— ძ — ს, მ. თ — ს. „რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზნისა გამო, იმ საგანზე, რომელზედაც თქვენ იწერებით, საუბედუროთ, აღარაფრის წერა აღარ შეიძლება გახდესო.“

— ზ — ს, წ. ს. წ — ოვს. დიდის სიამოვნებით მივიღებთ ჩვენ იმ წიგნს, რომელზედაც იწერებით; ოღონდ გამოგზავნეთ. არ დაგეპარგებათ.

— ს — ს, მ. ნ — ს. თქვენი ალფობრანტობა აშკარაა, ბევრ მაგისტანს ნაწერებს გაუხმა აქ, „მიზნისაგან სხვისა-და-სხვისა“, თუკა

— ძ — ს, X. V — ს. მადლობით თაგრძობისათვის. თქვენი გამოგზავნილი წერილი გრამ შემდგომ ნომერთაგანში დაიბეჭდება.

რკ. გზა	დღე	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაბ.	ბირჟა	მან. კაბ.	მაზანდა	მან. კაბ.
თფილისი	9 21	5 18			მცხეთის სიტყვა		პეტერბურგი, 24 თებერ.		თფილისი, 24 თებერ.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	შუთაისს, შოთს	1 —	პრტი პანეთი ღირს:		შქე. თეთ. მანჯისა, ფო.	160
შორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 23 პენსი.		შქვილი წითელი	140
ნაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2 —	პარიჟში 271 სანტიმი.	78	ქერი ფუთი	140
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავას	2 —	მსკონტი (სარგებლის უასი)	62	ბამბა მრეწვისა, ფუთი	660
შვირილი	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3 —	ბანკის ბილეთი 5%	71	— ამერიკისა, ფუთი	750
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მოგებიანი (პირველისაგან)	96 50	მახრტილი ბამბა ფუთი	10 —
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	236 50	მატული თუშური ფო.	8 —
ბნ. სენაკი			8 57	4 76	ფორმა		ბირაოს ფურცლები:	235	— თრაქაშისა ფო.	4 2
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		მფლ. სახან. ბანკისა		— აბრეშუნი ულსური სტ.	2 —
შოთი	9 13				კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკი	83 25	ძონი, ფუთი	6 40
ბნ. სენაკი			1 18	66	მწურ. — პარასკ. და ორშ. მანეთს		მოსკოვის	83 50	ძონის სანთელი ფუთი	8 —
სამტრედია	11 16		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) შუთაისიდან:		მქრო 1/2 იმპერიალი.	7 51	სტეარინის სანთელი, ფო.	14 40
რიონი	12 13		3 4	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მწურგეთს—		აქცეები:		ხორცი ქროხისა, ლიტ.	90
შვირილი	1 18	ლაგე	3 98	2 21	ორშ. და პარასკ.		მდგის სავაჭრო ბანკის	177	— ცხვრისა, ლიტრა	90
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	წიგნის გავზავნა რუსეთში	კაბ.	შოთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, გრადუსი	5
ნაშური	5 39	1 37	5 84	3 24	და სამზღვარ გარეთ:		შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	შაქარი, ბროც. ფუთი	7 18
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9	წიგნის	კაბ.	მაეჯახისა და მერკურის	225	— ფხვნილი ფუთი	6 8
მცხეთა	8 50	6 59	8 5	4	ლა წიგნის	4	პირვე. საზღვევ. საზღვ.	745 50	შავა გრვალის, გირგ.	70
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	და მხედველის (ხამი მისხალი)	8	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	ჭერი ქუნჯუთისა ფუთ.	13 50
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	თამბაქო, საშუალო ფუთი	7 80